

## საქართველოს კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეკოლოგიური ექსპერტიზა არის გარემოსდაცვითი ხასიათის აუცილებელი ღონისძიება, რომელიც ხორციელდება საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში..

2. იმ საქმიანობების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელიც გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ექვემდებარება სავალდებულო ეკოლოგიურ ექსპერტიზას, განსზღვრავს საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“.

3. ეკოლოგიური ექსპერტიზის მიზანია გარემოსდაცვითი მოთხოვნების, რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინების საფუძველზე უზრუნველყოს გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება.

4. ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა არის აუცილებელი საფუძველი ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელებაზე გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის გასაცემად.

### მუხლი 2. ეკოლოგიური ექსპერტიზის ძირითადი პრინციპები

ეკოლოგიური ექსპერტიზის ძირითადი პრინციპებია:

- ა) საქმიანობის პოტენციური ეკოლოგიური საშიშროების რისკის შეფასება;
- ბ) საქმიანობის დაწყებამდე გარემოზე მისი შესაძლო ზეგავლენის შეფასების კომპლექსურობა;
- გ) გარემოსდაცვით მოთხოვნათა და გარემოს დაცვის ნორმების გათვალისწინება;
- დ) ექსპერტთა უფლებამოსილების შეუზღუდავი განხორციელება;
- ე) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დასაბუთებულობა და კანონიერება;
- ვ) საზოგადოებრიობრივი ინტერესის გათვალისწინება.

### მუხლი 3. ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში უფლებამოსილი ორგანო და მისი უფლება-მოვალეობანი

1. ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში უფლებამოსილი ორგანოა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო).

2. ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში სამინისტროს უფლება აქვს:

- ა) საჭიროების შემთხვევაში დადგენილი წესის შესაბამისად საქმიანობაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებლად მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტები.
- ბ) ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პროცედურისათვის მიიღოს აუცილებელი ინფორმაცია (საცნობარო, სტატისტიკური და სამსახურებრივი სარგებლობის ინფორმაციის ჩათვლით), თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი;

3. ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში სამინისტროს მოვალეობაა:

- ა) ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით შექმნას საექსპერტო კომისიები;
- ბ) უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესი საჭირო ინფორმაციით;
- გ) უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის განხორციელების პროცედურის შესაბამისობა კანონმდებლობასთან, ნორმატიულ-ტექნიკურ და ინსტრუქციულ-მეთოდურ დოკუმენტებთან;

დ) რეგისტრაციაში გაატაროს დამოუკიდებელი ექსპერტები და შექმნას მათი მონაცემების ბაზა;

ე) საქმიანობის განმახორციელებელის მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს მას გასაცნობად საკანონმდებლო, ნორმატიულ-ტექნიკური და ინსტრუქციულ-მეთოდური დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ ეკოლოგიური ექსპერტიზის ორგანიზებასა და ჩატარებას;

ვ) საზოგადოების წარმომადგენლებს მოთხოვანისას გააცნოს დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას;

#### **მუხლი 4. ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესი**

1. ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ბრძანებით იქმნება შესაბამისი საექსპერტო კომისიები.

2. საჭიროების შემთხვევაში საექსპერტო კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად დადგენილი წესის შესაბამისად სამინისტროს მიერ შეიძლება მოწვეულნი იქნან დამოუკიდებელი ექსპერტები.

3. ეკოლოგიური ექსპერტიზა ტარდება საქმიანობაზე განცხადების „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით წარმოდგენის შემდეგ.

4. ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პროცედურას და საექსპერტო კომისიების ფორმირების წესს განსაზღვრავს დებულება "ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ", რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

#### **მუხლი 5. დამოუკიდებელი ექსპერტი**

1. დამოუკიდებელი ექსპერტი შეიძლება იყოს მხოლოდ შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე ფიზიკური პირი, რომელიც არ არის საჯარო მოსამსახურე.

2. დამოუკიდებელი ექსპერტი ექვემდებარება სამინისტროს მიერ წარმოებულ ექსპერტთა რეესტრში რეგისტრაციას. დამოუკიდებელ ექსპერტთა „ექსპერტთა რეესტრში“ შეყვანა (რეგისტრაცია) და გამოყვანა ხორციელდება მინისტრის ბრძანებით.

3. საექსპერტო კომისიაში შეყვანას ექვემდებარება მხოლოდ ის დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელიც დადგენილი წესით რეგისტრირებულია სამინისტროს ექსპერტთა რეესტრში.

4. ექსპერტთა რეესტრიდან დამოუკიდებელი ექსპერტის საექსპერტო კომისიაში შეყვანა ხდება მინისტრის ბრძანებით.

5. დამოუკიდებელი ექსპერტი პასუხისმგებელია მისი მიერ მომზადებული დასკვნის ობიექტურობასა და სისრულეზე.

6. დამოუკიდებელი ექსპერტის ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში მონაწილეობს სამინისტროს მიერ ექსპერტთან დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. დამოუკიდებელ ექსპერტთა შრომის ანაზღაურებას სამინისტრო ახორციელებს მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

7. დამოუკიდებელ ექსპერტთა შრომის ანაზღაურების წესი განისაზღვრება მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

8. დამოუკიდებელ ექსპერტთა შერჩევის, მათი ექსპერტთა რეესტრში შეყვანის წესსა და უფლებამოსალებებს განსაზღვრავს დებულება „დამოუკიდებელ ექსპერტთა რეესტრის შესახებ“, რომელსაც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ამტკიცებს მინისტრი.

#### **მუხლი 6. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა**

1. საექსპერტო კომისიის მუშაობის შედეგები აისახება საექსპერტო კომისიის დასკვნაში, რომელსაც ამზადებს საექსპერტო კომისია და ხელს აწერს საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე. საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე სამინისტროს

მიერ მზადდება ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელსაც ადმინისტრაციული აქტით ამტკიცებს მინისტრი.

2. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ დამასაბუთებელი დოკუმენტაცია:

ა) შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ გარემოს დაცვის ნორმებს და სტანდარტებს;

ბ) მასში მოყვანილი საქმიანობის განხორციელება განსაზღვრულ ადგილსა და გარემოებაში არ გამოიწვევს გარემოს მდგომარეობისა და ბუნებრივი რესურსების შეუქცევად ხარისხობრივ და თვისობრივ ცვლილებებს;

გ) ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების შემცირების ან თავიდან აცილების ღონისძიებებს, ავარიული სიტუაციების შესაძლებელი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებათა ჩათვლით.

3. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) შეესაბამება, თუ არა საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) რა სახის ნაკლოვანებებს შეიცავს დოკუმენტაცია;

გ) რამდენად მნიშვნელოვანია ეს ნაკლოვანებები გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის;

დ) შესაძლებელია, თუ არა ნაკლოვანებების გამოსწორება და თუ შესაძლებელია, რა გზით;

ე) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობებს (საჭიროების შემთხვევაში).

4. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგენს შესაბამისად მშენებლობის ან გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შემადგენელ ნაწილს, ხოლო ეკოლოგიური დასკვნის პირობები კი – სანებართვო პირობას, რომლის შესრულება მშენებლობის ან გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მფლობელისათვის სავალდებულოა.

## **მუხლი 7. საქმიანობის განმახორციელებლის უფლებება-მოვალეობანი ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში**

1. ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში საქმიანობის განმახორციელებელს უფლება აქვს:

ა) წარადგინოს საქმიანობის დამასაბუთებელი დოკუმენტაცია ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად;

ბ) ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული დავის წამოჭრის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს.

2. ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია:

ა) ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარადგინოს საქმიანობის დამასაბუთებელი დოკუმენტაცია კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ განახორციელოს საქმიანობა ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის პირობების შესაბამისად.

## **მუხლი 8. პასუხიმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის**

ამ კანონით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევა იწვევს პასუხიმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **მუხლი 9. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტები**

2007 წლის პირველ ოქტომბრამდე გამოცემულ იქნეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

ა) „ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ“;

ბ) „დამოუკიდებელ ექსპერტთა რეესტრის შესახებ“;

გ) „დამოუკიდებელ ექსპერტთა შრომის ანაზღაურების წესის შესახებ“.

**მუხლი 10. ძალდაკარგული ნორმატიული აქტები**

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალდაკარგულად გამოცხადდეს „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს (საქართველოს პარლამენტის უწყებანი 1996 წელი - №27-28/4) 1996 წლის 18 ოქტომბრის კანონი.

**მუხლი 11. კანონის ამოქმედება**

კანონი ამოქმედდეს 2007 წლის პირველი მაისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

*მიხეილ სააკაშვილი*